THE SENSE OF FATE AND FREEDOM IN THE ANCIENT GREEK MYTHOLOGY AND PHILOSOPHY

ბედისწერისა და თავისუფლების საზრისი ძველ ბერძნულ მითოლოგიასა და ფილოსოფიაში

Nugzar Abramishvili
Doctor of Philosophy,
Professor of Gori State Universty
Gori, Chavchavadze st., #53, 1400,Georgia,
+995577151212, nugzarabramishvili@gu.edu.ge
https://orcid.org/0000-0001-5858-7906

Abstract. Freedom is a fundamental human attribute. Other human qualities derive from it. The whole history of the world is essentially nothing but the history of the development of the idea of freedom.

The consciousness of freedom first emerged in ancient Greece. The ancient East failed to grasp the notion of freedom, hence, it was absent. For the first time in history, the ancient Greeks comprehended that man is in fact free, that freedom is the natural state of humanity, that human is not a product of nature that merely exists. Man creates himself, making him a free being.

The Greeks perceived the phenomenon of freedom in a dialectical relationship with destiny. In relation to man, destiny appears as fate. Every person has his own destiny, that is, his place and purpose in the world, which no one and nothing can change.

The mythical hero is assigned his fate, stands on the threshold of his voluntary implementation, he silently and tirelessly submits to fate and becomes the executor of its sentence.

The Hegelian definition of freedom - "freedom is a known necessity" finds its best confirmation in a mythical hero.

Ancient Greek philosophers: Heraclitus, Socrates, Plato, Aristotle rationally understood the phenomenon of fate and demystified it. In their thinking, destiny, as a transcendental and unknowable force, moved into a person and became an immanent force determining the "inner" fate of a person. The thesis put forward by Heraclitus "man's destiny is his character" has never lost its power.

The Hegelian definition of freedom - "freedom is a known necessity" finds its most compelling exemplification in a mythical hero.

Ancient Greek philosophers: Heraclitus, Socrates, Plato, Aristotle rationally understood the phenomenon of fate and demystified it. In their philosophical discourse, destiny, as a transcendental and inscrutable force, transmuted into an intrinsic force shaping the "inner" fate of individuals. The thesis put forward by Heraclitus "man's destiny is his character" has never lost its power.

Socrates, Plato and Aristotle made great efforts to demonstrate that man can change his character through "Logos", wisdom, subdue and eliminate the passions of his nature and become the creator of his own destiny. They thoroughly elaborated such hypostats of the phenomenon of freedom as spiritual freedom, freedom of choice and free will. They reasoned that true freedom does not exist without responsibility, the freedom left without responsibility will turn into arbitrariness, extreme freedom, which destroys freedom.

Key words: Mythos, destiny, freedom, logos, inevitability, cosmos, transcendent, immanent.

ნუგზარ აბრამიშვილი
ფილოსოფიის დოქტორი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
გორი, ჭავჭავაძის ქ., 53, 1400, საქართველო
+995577151212, nugzarabramishvili@gu.edu.ge
https://orcid.org/0000-0001-5858-7906

აბსტრაქტი. თავისუფლება ადამიანის უარსებითეს თვისებას წარმოადგენს. ადამიანის სხვა თვისებები მხოლოდ თავისუფლების წყალობით არსებობენ. მსოფლიოს მთელი ისტორია, არსებითად, სხვა არაფერია, თუ არა თავისუფლების იდეის განვითარების ისტორია.

თავისუფლების ცნობიერებამ პირველად ძველ საბერძნეთში გამოანათა. ძველი აღმოსავლეთი ვერ განვითარდა იმ იდეამდე, რომ ადამიანი თავისუფალია, ამიტომ მათთან არც ყოფილა თავისუფლება. პირველად ისტორიაში ძველმა ბერძნებმა გააცნობიერეს, რომ ადამიანი სინამდვილეში თავისუფალია, რომ თავისუფლება ადამიანის შესაბამისი მდგომარეობაა, რომ ადამიანი არ არის ბუნების ნივთი, რომელიც მხოლოდ არსებობს. ადამიანი ქმნის თავის თავს, აქცევს მას თავისუფალ არსებად. ბერძნები თავისუფლების ფენომენს ბედისწერასთან დიალექტიკურ მიმართებაში გაიაზრებდნენ. ადამიანთან მიმართებაში ბედისწერა ვლინდება, როგორც წილხვედრი. ყოველ ადამიანს ბედისწერისგან ნარგუნები აქვს თავისი ხვედრი ანუ თავისი ადგილი და დანიშნულება სამყაროში, რასაც ვერავინ და ვერაფერი შეცვლის. მითოსური გმირი ურიგდება თავის ხვედრს, დგება მისი ნებაყოფლობით განხორციელების თვალსაზრისზე, ის უსიტყვოდ და უდრტვინველად ემორჩილება ბედისწერას და მისი განაჩენის აღმსრულებელი ხდება. თავისუფლების ჰეგელისეული დეფინიცია - „თავისუფლება არის შეცნობილი აუცილებლობა'' საუკეთესო დადასტურებას ჰპოვებს მითოსურ გმირში. ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსებმა: ჰერაკლიტემ, სოკრატემ, პლატონმა, არისტოტელემ რაციონალურად გაიაზრეს ბედისწერის ფენომენი და განახორციელეს მისი დემისტიფიკაცია. მათ ნააზრევში ბედისწერამ, როგორც ტრანსცენდენტურმა და შეუცნობელმა ძალამ ადამიანში გადმოინაცვლა და მოგვევლინა ადამიანის ბედის „შიგნიდან" განმსაზღვრელ იმანენტურ ძალად. ჰერაკლიტეს წამოყენებულ თეზისს „ადამიანის ბედისწერა მისი ხასიათია" არასდროს დაუკარგავს ძალა. სოკრატემ, პლატონმა და არისტოტელემ უდიდესი ძალისხმევა შეალიეს იმის დასაბუთებას, რომ ადამიანს შეუძლია „ლოგოსის", სიბრძნის მეშვეობით შეცვალოს თავისი ხასიათი, დაიქვემდებაროს და აღმოფხვრას თავის ბუნებაში მბორგავი ვნებები და გახდეს თავისი ბედის შემოქმედი. მათ საფუძვლიანად დაამუშავეს თავისუფლების ფენომენის ისეთი ჰიპოსტასები, როგორიცაა სულიერი თავისუფლება, არჩევანისა და ნებისყოფის თავისუფლება. დაასაბუთეს, რომ ჭეშმარიტი თავისუფლება არ არსებობს პასუხისმგებლობის გარეშე, პასუხისმგებლობის გარეშე დარჩენილი თავისუფლება თვითნებობაში, ზღვარგადასულ თავისუფლებაში გადაიზრდება, რაც თავისუფლებას ანადგურებს.

საკვანძო სიტყვები: მითოსი, ბედისწერა, თავისუფლება, ლოგოსი, გარდაუვალობა, კოსმოსი, ტრანსცენდენტური, იმანენტური.

შესავალი. წარმოდგენილ სტატიაში განვიხილავ ბედისწერისა და თავისუფლების ფენომენებს. მათ გენეზისს და განვითარებას ანტიკურ კულტურულ ტრადიციაში.

როგორც ბედისწერის, ისე თავისუფლების საფუძვლიანი თემატიზირება პირველად ძველ ბერძნულ მითოლოგიასა და ფილოსოფიაში განხორციელდა. ბედიწერის იდეას ცენტრალური ადგილი უკავია სამყაროს მითოლოგიურ სურათში, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მითოსის ცნობილი მკვლევარები მას „მითოლოგემის“ სახელით მოიხსენიებენ. მაგრამ ბედისწერა არ არის ძველი ბერძენისთვის მხოლოდ მსოფლმხედველობრივი ფენომენი. ბედისწერის იდეა განმსჭვალავს მთელ ელინურ კულტურას ჰომეროსიდან და ჰესიოდედან დაწყებული, ესქილეთი, სოფოკლეთი და ევრიპიდეთი გაგრძელებული...

ყველაზე არსებითი ნიშანი, რითაც ხასიათდება ბედისწერა, ესაა ყოველი არსებულის მკაცრი წინასწარგანსაზღვრულობა. ბედისწერა არის ბრმა აუცილებლობა, საგანთა მკაცრი ობიექტური წესრიგი, გარდაუვალობა და ულმობელობა. ბედისწერა ყოველ არსებულს მიუჩენს რა თავის ადგილს, ამით აწესრიგებს სამყაროს, ჰკრავს ერთ მთლიანობად, კოსმოსად.

რადგან ადამიანს შეუძლია იცხოვროს მხოლოდ მოწესრიგებულ სამყაროში, ამიტომ ბედისწერა სამართლიანია (დიკეა). ყოველ ინდივიდუალურ ადამიანთან მიმართებაში ბედისწერა ვლინდება, როგორც წილ-ხვედრი. ყოველ ადამიანს ნარგუნები აქვს თავისი ხვედრი ანუ თავისი ადგილი და დანიშნულება ამ სამყაროში და ამითაა საზრისის მქონე მისი არსებობა.

ბერძენ ფილოსოფოსთაგან ჰერაკლიტე იყო პირველი, ვინც რაციონალურად გაიაზრა ბედისწერა და, ერთგვარად, განახორციელა მისი დემისტიფიკაცია. ჰერაკლიტე იტყვის: ,,ადამიანის ხასიათია მისი ბედისწერა“. ბედისწერამ როგორც ტრანცენდენტურმა ძალამ იმანენტურის სფეროში გადმოინაცვლა და მოგვევლინა ადამიანის ბედის ,,შიგნიდან“ განმსაზღვრელ ძალად. რამდენადაც ბედისწერა მისი ხასიათის სახით ეხვევა თავს, ადამიანს შეუძლია შეცვალოს თავისი ხასიათი ,,ლოგოსის“ მეშვეობით და ამით განთავისუფლდეს ბედისწერის ძალთაგან.

ჰერაკლიტეს თეზისს არასდროს დაუკარგავს ძალა. მითოსიდან ლოგოსისკენ ცნობიერების ევოლუციის კვალდაკვალ ის ადამიანის თავისუფლების გააზრების საკითხში სოკრატეს, პლატონის და არისტოტელეს ნააზრევის სახელმძღვანელო პრინციპად მოგვევლინა.

პლატონისა და არისტოტელეს ნაშრომთა ანალიზის საფუძველზე წარმოვაჩენთ იმ სიახლეს, რაც მათ შემოიტანეს ევროპული კულტურის ისტორიაში თავისუფლების ფენომენის გააზრების საკითხში.

პლატონმა ადამიანის თავისუფლების საფუძველი სულის ჯანსაღ მდგომარეობაში დაინახა. პლატონისთვის თავისუფლება სულის სხეულის მონობისგან თავისუფლებაა. ადამიანის თავისუფლების საფუძველი სულის სიჯანსაღეა, ხოლო სულის სიჯანსაღე მის უნარებს შორის წესრიგზე, ანუ სულის ორგანიზაციაზეა დამოკიდებული.

არისტოტელეც, პლატონის კვალდაკვალ, მიიჩნევს, რომ თავისუფლების საფუძველი ჩვენში მოქმედი ვნებების სიბრძნისადმი, „ლოგოსისადმი“ დაქვემდებარებასა და დამორჩილებაშია. არისტოტელე არ ეთანხმება პლატონის თვალსაზრისს იმ ნაწილში, რომ თავისუფლებისთვის ჭეშმარიტება და სიბრძნე არიან გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონენი. მთავარი ის კი არ არის, ფიქრობს არისტოტელე, რომ სიქველეზე, სათნოებაზე ვფლობდეთ ჭეშმარიტ ცოდნას, არამედ ის, რომ შეგვეძლოს გავხდეთ ქველნი და სათნონი. არისტოტელეს აზრით, პლატონმა ვერ გაითვალისწინა ადამიანის ნებისყოფის სისუსტე. ადამიანმა შეიძლება იცოდეს კარგი, უნდოდეს გააკეთოს კარგი, მაგრამ ვერ აკეთებს ნებისყოფის სისუსტის გამო, ამიტომ თავისუფლება არსებით კავშირშია ნების სისუსტის დაძლევასთან. რომ თავისუფლება წარმოუდგენელია პასუხისმგებლობის გარეშე.

სტატიის წერისას დავიხმარეთ: ჰომეროსის „ილიადა და ოდისეა“; ჰესიოდეს „თეოგონია“; ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს ტრაგედიები; პლატონის დიალოგები; არისტოტელეს „ნიკომაქეს ეთიკა“; ალექსანდრ ლოსევის „მითის დიალექტიკა“ და „ბედისწერის მითოლოგემა“; ნაპო კვარაცხელიას „ადამიანი და მსოფლმხედველობა“.

მეთოდები. თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოვიყენე ისტორიულ-კრიტიკული და შედარებითი ანალიზის მეთოდები.

შედეგები. კვლევის შედეგად დადგინდა: 1. ბედისწერისა და თავისუფლების იდეები განმსჭვალავენ მთელ ელინურ კულტურას, ეპიკური და ტრაგიკული პოეზიიდან დაწყებული, ფილოსოფიით დამთავრებული. 2. თუმც ბედისწერა, როგორც ულმობელი ძალა მკაცრი აუცილებლობით და გარდაუვალობით თავს ეხვევა ყოველ არსებულს, მაგრამ ის მიუჩენს რა ყოველივეს თავის ადგილს და დანიშნულებას, გვევლინება სამყაროს მომწესრიგებელ, კოსმოსის შემოქმედ ძალად და რადგან ადამიანს შეუძლია იცხოვროს მხოლოდ მოწესრიგებულ სამყაროში, ამიტომ ბედიწერა სამართლიანია, ,,დიკეა“. მითოსური გმირი მაღლდება თავისი ხვედრის მიღებამდე, მისი ნებაყოფლობით განხორციელების თვალსაზრისამდე. ის უსიტყვოდ და უდრტვინველად ემორჩილება ბედისწერას და მისი მატარებელი, მისი განაჩენის აღმსრულებელი ხდება. ამით მისი როლი სამყაროს მთლიანობაში განსაკუთრებული ხდება. ის ამით ეზიარება სიდიადეს, ამაღლებულობას და ,,თავისუფლებას, როგორც შეცნობილ აუცილებლობას“ (ჰეგელი). 3. ფილოსოფოსთაგან ჰერაკლიტე იყო პირველი, ვინც განახორციელა ბედისწერის რაციონალიზაცია და დემისტიფიკაცია. ,,ადამიანის ხასიათია მისი ბედისწერა“ იტყვის ჰერაკლიტე. რადგან, ჰერაკლიტესთან, ბედისწერამ ტრასცენდენტურიდან იმანენტურში გადაინაცვლა, კითხვა ასე დადგა: თუ შეუძლია ადამიანს შეცვალოს თავისი ხასიათი? ჰერაკლიტე ფიქრობს, რომ შეუძლია. ადამიანს ძალუძს წინ აღუდგეს, დაიქვემდებაროს და აღმოფხვრას თავის ხასიათში მბორგავი ვნებები, სიბრძნის, ,,ლოგოსის“ მეშვეობით და ამით გახდეს თავისი ბედის შემოქმედი. 4. პლატონმა ადამიანის თავისუფლების საფუძველი სულის ჯანსაღ მდგომარეობაში დაინახა. მისთვის სულის სიჯანსაღე სულის უნარებს შორის წესრიგზე, ანუ სულის ორგანიზაციაზეა დამოკიდებული. პლატონისთვის თავისუფლება სულის სხეულის მონობისგან განთავისუფლებაა. სულს ძალუძს თავი დააღწიოს სხეულის მონობას, დათრგუნოს სხეულიდან მომდინარე ვნებები და გაბატონდეს მათზე, ანუ მოიპოვოს თავისუფლება. ამისთვის კი საჭიროა სულში ჭეშმარიტებისადმი ეროსის გაღვიძება; სიბრძნე, სიკეთე აბედნიერებენ ადამიანს, ამიტომ ის ბუნებრივად აირჩევს მათ. ხოლო არავის და არაფერს ძალუძთ სულში ჭეშმარიტებისადმი ეროსის გაღვიძება ფილოსოფიის გარდა.

არისტოტელე, პლატონის კვალდაკვალ, მიიჩნევს, რომ თავისუფლების საფუძველი ვნებების ლოგოსით დამორჩილებაშია. პლატონისგან განსხვავებით მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა არჩევანის თავისუფლებას, ნებისყოფის სისუსტის დაძლევას და პასუხისმგებლობას. არისტოტელეს აზრით, პლატონმა ვერ გაითვალისწინა ადამიანის ნების სისუსტე. ადამიანმა შეიძლება იცოდეს კარგი, უნდოდეს ჩაიდინოს კარგი, მაგრამ ვერ აკეთებდეს კარგს ნებისყოფის სისუსტის გამო. ნების სისუსტის დაძლევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს პოლისი. თუ პოლისს კარგი, ზნეობრივი კანონები აქვს და მთელი ქალაქი ამ კანონებით ცხოვრობს, ადამიანს უვითარდება ზნეობრივი ჩვევები, რომლებიც ადამიანს თავისუფალს და კეთილშობილს ხდიან.

მსჯელობა. ბედისწერის იდეა ძველი ბერძნული მითოსური მსოფლმხედველობის უმთავრეს იდეას წარმოადგენს, იმდენად მნიშვნელოვანს, რომ მითოსის აღიარებული მკვლევარები მას ,,მითოლოგემის“ სახელით მოიხსენიებენ. მაგრამ ბედისწერა არ არის

ძველი ელინისთვის მხოლოდ მსოფლმხედველობრივი ფენომენი. ბედისწერის იდეა განმსჭვალავს მთელ ელინურ კულტურას ჰომეროსიდან და ჰესიოდედან დაწყებული, ესქილეთი, სოფოკლეთი, ევრიპიდეთი გაგრძელებული და ძველი ბერძენი ფილოსოფოსებით დამთავრებული.

პირველი, ყველაზე არსებითი ნიშანი, რაც შეიძლება ითქვას ბედისწერაზე ისაა, რომ იგი არის ყოველგვარი არსებულის მკაცრი წინასწარგანსაზღვრულობა, გარდაუვალობა.

ძველი ბერძენისთვის სამყარო, როგორც უნივერსუმი ერთიანია, მშვენივრად მოწესრიგებული მთელია, ანუ კოსმოსია და მისი მოწესრიგებულობის პრინციპს წარმოადგენს ბედისწერა. სამყაროში არსებულ ყოველ საგანს თუ მოვლენას ბედისწერისგან მიჩენილი აქვს თავისი ადგილი, ნარგუნები აქვს თავისი ხვედრი და დანიშნულება სამყაროს მთელში. ,,იაზრებდნენ რა სამყაროს საოცარ ერთიანობაში, ძველი ბერძნები გარკვეულ გამართლებას უძებნიდნენ ყოველ სასრულ, ერთეულ-ინდივიდუალურ მოვლენას და მათ შორის ადამიანსაც, სამყაროულ მთელში. არც ერთი მოვლენა, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო, არ არის ზედმეტი მთელისთვის, რადგან სამყაროს მთელი ამ ერთეულ მოვლენებში და მათი მეშვეობით არსებობს“ (კვარაცხელია, 2001: 19).

რაც ბედისწერისგან არი გადაწყვეტილი, თავს ვერ დააღწევს, ვერ დაუსხლტება ვერც ერთი არსებული, მათ შორის ადამიანიც. ილიადაში ჰექტორი ანდრომაქეს ეუბნება: ,,არც ერთ ადამიანს არ ძალუძს გაექცეს ბედისწერით განჩინებულს“. თვით ოლიმპოს ღმერთები,ზევსის ჩათვლით ბედისწერას ემორჩილებიან, მისი გადწყვეტილების აღმასრულებელნი არიან. მათ არ შეუძლიათ რაიმეს შეცვლა ,,მოირას“ მიერ დადგენილ წესრიგში.

ესქილეს ,,მიჯაჭვულ პრომეთეში“ ასეთ სტრიქონებს გადაეყრები:

ქორო: ნეტავ მესაჭე ვინ ბრძანდება ბედისწერისა?

პრომეთე: სამი მოირა, ხსოვნის სულნი ერინიები,

ქორო: და ზევსიც განა მათზე უფრო უძლური არის?

პრომეთე: რაც უწერია იმას ზევსიც ვერ გაექცევა. (ესქილე,1978:184).

ბედისწერა შეუცნობელია და ბნელით მოცული. შემთხვევითი არ არის, რომ ბედისწერის აღმასრულებელი მოირები: კლოთო, ლახესისი და ატროპოსი უკუნი ღამის ნიუქტოსის ქალიშვილები არიან. ბედისწერა აწესრიგებს სამყაროს. სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს ჰკრავს ერთ მთლიანობად, კოსმოსად, და ადამიანს, რამდენადაც შეუძლია იცხოვროს მხოლოდ მოწესრიგებულ სამყაროში, ამიტომ ბედისწერა სამართლიანია (დიკეა).

,,ყოველ ინდივიდუალურ ადამიანთან მიმართებაში ბედისწერა ვლინდება, როგორც წილ-ხვედრი. ყველა ადამიანს ნარგუნები აქვს თავისი ხვედრი, ანუ თავისი ადგილი და დანიშნულება ამ სამყაროში და ამითაა საზრისის მქონე მისი არსებობა სამყაროს მთელში“ (კვარაცხელია, 2001: 18-19).

ჩვეულებრივი ადამიანი ბედისწერის განაჩენს შემთხვევითობად მიიჩნევს და ცდილობს გაექცეს, შეეწინააღმდეგოს მას. მხოლოდ გმირი მაღლდება თავისი ხვედრის მიღებამდე, მისი ნებაყოფლობით განხორციელების თვალსაზრისამდე. ის უსიტყვოდ და უდრტვინველად ემორჩილება ბედისწერას, მის გარდაუვალობას და მისი მატარებელი, მისი გადაწყეტილების აღმსრულებელი ხდება. გმირი ახორციელებს ბედისწერით განჩინებულს და ამით მისი დანიშნულება და როლი სამყაროში განსაკუთრებული ხდება. სწორედ ამაშია მითოსური გმირის მოქმედების მთელი სიდიადე და ამაღლებულობა. მაგრამ მითოსური გმირის ეს შერიგება და მორჩილება ბედისწერისადმი არ ნიშნავს ბედისწერისადმი მონურ ქედმოხრას. ეხება რა მითოსური გმირის მიმართებას ბედისწერისადმი ჰეგელი წერს: ,,თუ უფრო ახლოს განვიხილავთ ძველთა შეხედულებას ბედისწერაზე, მაშინ დავრწმუნდებით, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ გვიჩვენებს არათავისუფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ არათავისუფლება დამყარებულია

დაპირისპირების შენარჩუნებაზე, ესე იგი ჩვენ ვაღიარებთ, რომ ის, რაც არის და რაც ხდება ეწინააღმდეგება იმას, რაც უნდა იყოს და უნდა ხდებოდეს. ძველთა შეხედულებაში კი ის აზრი იყო, რომ, ვინაიდან ასეთი რამ არსებობს, მაშასადამე, იგი არსებობს და არის სწორედ ისეთი, როგორიც უნდა იყოს. ამრიგად აქ არ არსებობს არავითარი დაპირისპირება და, მაშასადამე არ არსებობს არავითარი არათავისუფლება, არავითარი ტკივილი და არავითარი ტანჯვა“ (ჰეგელი, 1962: 323-324).

,,მიჯაჭვულ პრომეთეში“ პრომეთე ამბობს:

,,მაგრამ რას ვამბობ? რაც მეწერა ადრეც ვიცოდი
მოულოდნელად არა ჭირი არ შემეყრება.
უნდა გავუძლო ბედისწერის მოქნეულ უროს,
გადავიტანო მე ეს ხვედრი, რადგანაც ვიცი:
გარდუვალობის მბრძანებლობა უძლეველია.“ (ესქილე, 1978: 168).

ოიდიპოსი, რომელმაც ბედისწერის გადაწყვეტილებით უნდა მოკლას მამა და დედა შეირთოს ცოლად, სანამ ბედისწერას გაურბის არ არის გმირი. ის გმირი მაშინ ხდება, როცა თვალებს დაითხრის და ამით აღიარებს ბედისწერის ყოვლისშემძლეობას. ოიდიპოსმა მისნისგან იცის თუ რა ხვედრი არგუნა ბედისწერამ, მაგრამ მან არ იცის ,,რატომ“ მისნისთვის კითხვის დასმა აკრძალულია. ის ბედისწერის მსხვერპლიცაა, იარაღიც და თანაარსიც. ჩვენ არ შეგვიძლია ოიდიპოსის ,,დანაშაული“ შევაფასოთ კეთილისა და ბოროტის, ზნეობრივისა და უზნეოს კატეგორიებით. ოიდიპოსი ბედისწერის ხელში ბრმა იარაღია, მისი განჩინების აღმასრულებელი და აქ რაიმე არჩევანის თავისუფლებაზე და შესაბამისად პასუხისმგებლობაზე ლაპარაკი გამორიცხულია. ოიდიპოსი ტრაგიკული გმირია თავისი ღირსებით, ამაღლებულობით და თავისუფლების ჰეგელისეული დეფინიცია: ,,თავისუფლება არის შეცნობილი აუცილებლობა“ საუკეთესო დადასტურებას ჰპოვებს მითოსურ გმირში.

ტრანსცენდენტური და ულმობელი ბედისწერის რწმენით განმსჭვალულ მსოფლმხედველობრივ ატმოსფეროში, ჰომეროსთან, ეპოქისთვის უჩვეულო იდეამ გაიჟღერა. ადამიანს, როგორც თავისუფალი ნების მქონე არსებას შეუძლია იმოქმედოს ბედისწერით განჩინებული წესრიგისგან განსხვავებულად და ზოგჯერ საწინააღმდეგოდაც კი და ამით თავს დაიტეხოს ისეთი ხვედრი, რაც ,,მოირას“ გეგმით არ იყო გათვალისწინებული. ,,ოდისეას“ პირველ სიმღერაში ზევსი მის დარბაზში თავმოყრილ ღმერთებს ასეთ რამეს ეუბნება: ,,როგორ გვამტყუნებენ კაცნი, თითქოს ჩვენ ვიყოთ მათთვის ყოველგვარი ბოროტების სათავე! ნამდვილად ხომ თავიანთი უმეცრების გამო ატყდებათ ბედისწერით არმიგებული უბედურება. განა განგების წინააღმდეგ არ წაჰგვარა ეგისთემ აგამემნონს კანონიერი მეუღლე და მოკლა შინ დაბრუნებული? აკი წინასწარ უგრძნობდა გული, რომ სამაგიერო მიეზღვეოდა? ხომ გავაფრთხილეთ ჰერმესის პირით, ნუ მოკლავ აგამემნონს, თორემ დავაჟკაცებული ორესტე აიღებსო მამის სისხლს“. (ჰომეროსი, 2012: 5, პირველი სიმღერა).

ძველ ბერძენ ფილოსოფოსთაგან ჰერაკლიტე იყო პირველი, ვინც რაციონალურად გაიაზრა ბედისწერა და ერთგვარად განახორციელა მისი დემისტიფიკაცია. ბედისწერამ, როგორც შეუცნობელმა, ყოვლისშემძლე კოსმიურმა ძალამ ტრანსცენდენტური სფეროდან იმანენტურში, ადამიანის ბუნებაში გადმოინაცვლა და მოგვევლინა ადამიანის ბედის ,,შიგნიდან“ განმსაზღვრელ ძალად. ჰერაკლიტე იტყვის: ,,ადამიანის ხასიათია მისი ბედისწერა“. როგორი ახსნა შეიძლება მოეძებნოს ჰერაკლიტეს ამ ენიგმურ გამონათქვამს?

თანამედროვე ფსიქოანალიზის ენით თუ ვიტყვით, ადამიანის ბუნების ბნელი უფსკრულებიდან, თუ ქვეცნობიერიდან მოედინებიან წინაპართაგან გენეტიკურად გადმოცემული ან პათო-სოციალურ გარემოში შეძენილი იმპულსები: უკიდურეს ეგოიზმში გადაზრდილი არსებობისათვის ბრძოლის, დამპყრობლის, სექსუალური, სიძულვილის, შურისმგებლობის და ა.შ. იმპულსები და ისინი იმდენად განმსჭვალავენ

ჩვენს ბუნებას, იმდენად ძლიერია მათი ძალა, რომ განსაზღვრავენ ჩვენს ხასიათს და თავს გვეხვევიან, როგორც ბედისწერა. და დგება კითხვა შეგვიძლია, ჩვენ, შევცვალოთ ჩვენი ხასიათი? თუ ხასიათის შეცვლა შეგვიძლია, მაშინ ჩვენი ბედი ჩვენს ხელში ყოფილა, ჩვენ ვყოფილვართ ჩვენი ბედის შემოქმედნი.

ჰერაკლიტეს მიაჩნია, რომ ეს შესაძლებელია. ადამიანს ძალუძს წინ აღუდგეს, დაიქვემდებაროს და აღმოფხვრას თავის ბუნებაში მბორგავ ამ იმპულსთა მოქმედების ძალა და ეს შესაძლებელია ,,ლოგოსის“ მეშვეობით.

სამყარო ღვთაებრივია, მაშასადამე კარგია და დასრულებული მთელია და ის ასეთი იმიტომაა, რომ ,,კოსმოსია“ ე.ი. არის წესრიგის, სისრულის და მშვენიერების მატარებელი. ადამიანი თუ შეიცნობს კოსმოსის პრინციპებს, მასში მოქმედ კანონებს, ეს საშუალებას მისცემს უკეთ შეუწყოს, შეუთანადოს თავისი ცხოვრების წესი კოსმოსში აღმოჩენილ პრინციპებს და ამით თავის სულშიც კოსმოსის მატარებელი გახდეს. ადამიანმა უნდა წაახალისოს, განავითაროს თავის სულში მთვლემარე ჭეშმარიტებისკენ სწრაფვა და, შესაბამისად, წესრიგის საწყისები. ამით ის გამოისწორებს თავის ხასიათს, დაუქვემდებარებს ,,ლოგოსს“ თავის სულში ავად მძვინვარე ვნებებს და ამით გახდება ბედისწერის ძალთაგან თავისუფალი.

ჰერაკლიტეს თეზისს არასდროს დაუკარგავს ძალა. ადამიანის თავისუფლების გააზრების საკითხში ის სოკრატეს, პლატონის და არისტოტელეს ნააზრევის ფუნდამენტურ წანამძღვრად მოგვევლინა.

ჰერაკლიტეს შემდეგ სოკრატეა ის მოაზროვნე, რომელმაც წამოაყენა იდეა, რომ ადამიანი თავისუფალია ბედისწერისგან, რომ ჩვენი ბედი არ არის წინასწარ განსაზღვრული, შეუცნობელი და გარდაუვალი ბედისწერისგან და რომ ადამიანი დამოუკიდებლად, თვითონ განსაზღვრავს თავის ბედს და მომავალს. იმ დროს, როცა ყოველი ადამიანი ბედისწერის რწმენით იყო მთლიანად განმსჭვალული და თავისი ბედითა და მომავლის შიშით შეძრწუნებული, რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას ნაბიჯს არ გადადგამდა დელფოს მისან პითიასთვის რომ არ მიემართა, რომ მისი დახმარებით ჩაწვდომოდა ბედისწერის განაჩენს, სოკრატეს იდეა გმირობის ტოლფასი იყო და მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ევროპული ცივილიზაციის შემდგომ განვითარებას.

პლატონმა ადამიანის თავისუფლების საფუძველი ადამიანის სულში, სულის ჯანსაღ მდგომარეობაში დაინახა. პლატონისთვის ადამიანი არსებითად სულია, მაგრამ სული, თავის მხრივ, რთულ არსს წარმოადგენს. ,,არის სულში რაღაც ღვთაებრივი საწყისი, რომელშიც მოქცეულია სულის მთელი სიბრძნე და გონიერება“ (პლატონი, 1997: 155,133cd). სულის ეს ნაწილია ადამიანის ნამდვილი არსი, მისი რაობა და ჭეშმარიტი ,,მე“. მაგრამ სული მატერიის ტყვეობაში იმყოფება. სხეული მისთვის სხვა არა არის რა, თუ არა დილეგი ,,რომელშიც მომწყვდეულია, როგორც ლოკოკინა ნიჟარაში“ ან, უფრო სწორად ,,საფლავი“, ,,მაგრამ სწორედ ამ დილეგისა თუ, სულისავე წყალობით მოძრავი და მოარული ,,საფლავის“ მეშვეობით მკვიდრდება ცოდვილ მიწაზე, სადაც თანდათანობით ეჩვევა, ეგუება და ბოლოს ესისხლხორცება მისთვის სრულიად უცხო გარემოს“ (პლატონი, 1994: 303).

რა არის სული სხეულში? წარუვალი - წარმავალში,უკვდავი - მოკვდავში,ნათელი - ბნელში: სიცოცხლეს რომ ანიჭებს უსულო, უსახო და უსიცოცხლო მატერიას, სული ისე ანათებს სხეულის სიბნელეს, როგორც ბნელ სარდაფს მკრთალი სანთელი.

თვითმყოფი და თავისთავადი, სხეულებრივი ბუნებისგან განცალკევებული სულისთვის სრულიად უცხოა ვნებათაღელვითა თუ ქვენა გრძნობების მძვინვარებით გამოწვეული და განპირობებული მანკიერება. მაგრამ განსხეულებისას სული ისე ინთქმება ხორცში, როგორც მზის სხივი ჭაობში, და გარკვეულწილად სხეულებრივი ბუნების თანამოზიარე ხდება. სული შეძლებისდაგვარად ცდილობს თავი შეიზღუდოს

ვნებათაღელვის, ქვენა გრძნობების მძვინვარებისა და საერთოდ მთელი იმ მანკიერებებისგან, რაც მატერიალური საწყისის მეშვეობით აღიძვრის სულისა და ხორცის ნაერთში, ანუ ცოცხალ სხეულში, მაგრამ მატერიალური საწყისი კერპია და შეუპოვარი. ის ახერხებს, რომ გაცრიცოს და ფერი უცვალოს სულის სინათლეს. ის ამრუმებს და აბნელებს სულისგან გამოსხივებულ ნათელს, რომელსაც ერწყმის, ეზავება და, ამრიგად თავის სიძაბუნეს გადასცემს. ასე იქცევა სხეული სულის დაცემის, დამონების მიზეზად. სული ეფლობა სხეულის წიაღში, როგორც ჭაობში და ქმედითობის უნარს კარგავს. სწორედ სხეულია სულის სიძაბუნის და ბიწიერების მიზეზი. თუმცა მთელ სულზე ვერ ვიტყვით ამას. არის სულში ღვთაებრივი საწყისი, რომელსაც ახასიათებს რაციონალური აზროვნების უნარი. ,,ტიმეოსში“ პლატონი სულის სწორედ ამ გონივრულ საწყისს მიიჩნევს უკვდავად, მაშინ როცა დანარჩენ ორ საწყისს მოკვდავად მიიჩნევს.

შეგრძნებების, განცდების და სურვილების უნარი მხოლოდ ცოცხალი სხეულისთვისაა დამახასიათებელი; სიცოცხლეს კი სული ანიჭებს სხეულს. სხეული სიცოცხლეს რომ ეზიარება შეგრძნების უნარსაც იძენს. შეგრძნებები კი, თავის მხრივ, დასაბამს აძლევენ ვნებებს. სხეულში აღიძვრის სურვილები, რადგან მხოლოდ სხეული ტკბება იმით, რაც სურს. შიშიც სხეულში იღვიძებს, ვინაიდან მხოლოდ სხეულს აძრწუნებს ის, რომ ადრე თუ გვიან, ვეღარ შესძლებს ამქვეყნიური სიამით ტკბობას და თვითონაც გაქრება, მტვრად იქცევა. ბოროტება უპირატესად სულის არაგონივრულ ნაწილში იჩენს თავს, რამდენადაც, ის ადამიანის უზენაესი საწყისის - გონისკენ კი არ არის მიდრეკილი, არამედ სხეულისკენ, თავის მრუმე წიაღში რომ ითრევს და ასგავსებს მას. ,,ყველა სიხარული, ყველა წუხილი სულს თითქოს სამსჭვალავით მსჭვალავს და ერთგვარად კიდეც ამსგავსებს სხეულს, ხოლო სხეულის თანამოზიარედ ქცეული მის თანამგზავრი და თანამეინახე ხდება“ (პლატონი, 1966: 57).

იგივე ითქმის ყველა ვნების თუ ქვენა გრძნობის - შურის, ღვარძლის, მრისხანების, სიცრუის, სიფიცხის, შიშის, ძრწოლის, ვერაგობის, ორგულობის და სხვა მისთანათა მიმართაც, ასე რომ ღრღნიან და ფიტავენ ხორცთან შეზრდილ და შენივთებულ სულს, რის შედეგადაც სულის სხივოსანი ბუნება თანდათანობით ინთქმება და იძირება სხეულის მონობაში.

პლატონის აზრით, მხოლოდ ადამიანის გონივრულ სულს ძალუძს თავი დააღწიოს სხეულის მონობას და ეზიაროს ჭეშმარიტ თავისუფლებას. გონივრული სული ეს არის ღვთაებრივი საწყისი სულში, რომელსაც ახასიათებს რაციონალური აზროვნების უნარი. სულის ეს ნაწილი ყოველთვის წმინდაა, ის ზურგს აქცევს და სიახლოვეს არ იკარებს უკეთურ სხეულს, მაგრამ თვით გონივრულ სულსაც კი ყოველთვის როდის შესწევს იმის ძალა, რომ თავი დაიცვას სხეულისგან, რომლის წიაღშიც მას მიითრევს სულის არაგონივრული ნაწილი. ,,თუ სული ამ ქვეყნად მიწყივ სხეულის სიცოცხლით ცოცხლობს, სხეულს ემსახურება, სხეულს ეტრფის და იმდენად იხიბლება მისი ვნებებით და სურვილებით, რომ აღარაფერს რაცხს ჭეშმარიტებად, გარდა იმისა, რასაც სხეულის სახე აქვს, რასაც შეიძლება ხელით შეეხო, დაინახო, შეჭამო, შესვა ანდა ვნებების დაცხრომისთვის გამოიყენო... მაშინ როცა ზიზღით უმზერს, უფრთხის და გაურბის იმას, რასაც თვალთაგან წყვდიადი ფარავს, რაც უხილავია, გონით საცნაურია და ფილოსოფიით საწვდომი“ (პლატონი, 1966: 52).

პლატონისთვის ადამიანის სულში მინავლებული სახით ბჟუტავს საოცარი ძალა, ჭეშმარიტების სიყვარული, ნოსტალგია ჭეშმარიტებისადმი და თუ ჩვენ შევძლებთ ეს მინავლებული ნაპერწკალი მოგიზგიზე კოცონად გადავაქციოთ, სული შეიძენს ისეთ ძალას, რომლითაც შესძლებს დათრგუნოს სხეულიდან მომდინარე ვნებები, გაბატონდეს მათზე და მოიპოვოს თავისუფლება. ხოლო არავის და არაფერს ძალუძს სულში ჭეშმარიტებისადმი ეროსის გაღვიძება ფილოსოფიისა და ფილოსოფოსების გარდა. როცა ფილოსოფია მიირქმევს ადამიანის ტყვედ ქმნილ სულს აზიარებს სიბრძნეს, ჭეშმარიტებას

და ...თავისუფლებას. ადამიანის თავისუფლების საფუძველი სულის სიჯანსაღეა, ხოლო სულის სიჯანსაღე მის უნარებს შორის წესრიგზე ანუ სულის ორგანიზაციაზეა დამოკიდებული. მაგალითად თუ როგორ იერარქიაში არიან ერთმანეთთან, ბერძენთა მიერ აღიარებული ოთხი სიქველე: სიბრძნე, სიმამაცე, თავშეკავება და სამართლიანობა.

თუ ჭეშმარიტებისადმი შეგიპყრობს ფილოსოფიური ეროსი, მაშინ ღირებულებათა იერარქიაში უმაღლეს ადგილს დაიკავებენ სიბრძნე და სიკეთე და მას დაექვემდებარებიან, როგორც ვაჟკაცობა და თავშეკავება ისე სამართლიანობა, სულის არაგონივრული ნაწილი და შესატყვისად ყველა ვნება და ქვენა გრძნობა.

არისტოტელეც, პლატონის კვალდაკვალ, მიიჩნევს, რომ თავისუფლები რომ ვიყოთ უნდა დავიმორჩილოთ ჩვენი ვნებები, ხოლო ვნებები უნდა დავიმორჩილოთ სიბრძნით, რაციონალობით, ,,ლოგოსით". ის თავისუფლების საკითხს განიხილავს ეთიკურთან მჭიდრო კავშირში და არ ეთანხმება პლატონის თვალსაზრისს იმ ნაწილში, რომ თავისუფლების სამყაროში ჭეშმარიტება და სიბრძნე არიან გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონენი. ,,მთავარი ის კი არ არის სიქველეზე, სათნოებაზე ვფლობდეთ ჭეშმარიტ ცოდნას, არამედ ის, რომ შევძლოთ ქველი და სათნონი გავხდეთ. ყველა ადამიანი, ბუნებით, ბედნიერებისკენ მიისწრაფვის, ხოლო ბედნიერება სიქველის შესაბამისი აქტივობაა" (არისტოტელე, 1988: 223).

თუ ჩვენ ისე ვიქცევით, როგორც ადამიანს შეჰფერის და ადამიანის ,,არეტეს" ვფლობთ, მაშინ მოქმედება, რომელსაც ამ ,,არეტეს" გულისთვის ჩავდივართ ბედნიერება იქნება. არისტოტელესთვისაც, პლატონის მსგავსად, სიქველე სულის სწორი მდგომარეობაა, მაგრამ როცა საქმე მიდგება სულის სწორი მდგომარეობის განსაზღვრაზე აქ უკვე პლატონისა და არისტოტელეს გზები იყრება.

სიქველე ადამიანის ხასიათის მდგომარეობაა, რომელიც საშუალოს (ოქროს შუალედის) არჩევანში მდგომარეობს. ეს არის რაციონალური, თავისუფალი არჩევანის სფერო. არისტოტელეს მიხედვით, მაგალითად, ბოროტება მდგომარეობს ამა თუ იმ თვისების სიჭარბეში ან ნაკლებობაში, მაშინ როცა სწორი, ესე იგი, ზომიერი ხარისხით მოცემული იგივე თვისება სიქველე იქნება. ამდენად სიმამაცე იქნება საშუალო სილაჩრესა და სიშლეგეს შორის; თავშეკავება თვითაღკვეთასა და თავაშვებულობას შორის; გულუხვობა სიძუნწესა და მფლანგველობას შორის; სიამაყე სიბეჩავესა და ქედმაღლობას შორის.

კაცი იმიტომ როდია კეთილი, რომ მას ცალკეული კეთილი საქციელების ჩადენა უწევს. სიქველე მდგომარეობაა და ქცევა უნდა გამომდინარეობდეს ამ მდგომარეობიდან, ანუ ეს მდგომარეობა მისთვის ბუნებრივი უნდა იყოს. ამ მდგომარეობის მიღწევის გზა კი ჩვევათა გამომუშავებაა. არ შეიძლება ერთჯერადი ქველი საქციელით გახდე ქველი. ჭეშმარიტ სიქველეს მაშინ ეზიარები, როცა რაციონალური პრინციპი გადაიქცევა შენს ჩვეულებად, როცა სხვანაირად მოქცევა უკვე აღარ შეგეძლება. თავდაპირველად, თავი სწორ ქცევას რომ შევაჩვიოთ პრაქტიკული სიბრძნის მქონე კაცის რჩევას მივდევთ, ბოლოს კი ქველნი ვხდებით, რადგან სწორ ქცევათა განმეორება სულში ჩვევას ანუ სიქველის მდგომარეობას გვინერგავს.

არისტოტელესთვის თავისუფლება, პირველ რიგში, არჩევანის თავისუფლებაა, როცა ადამიანს შეუძლია ალტერნატიურ ვითარებებს შორის გააკეთოს არჩევანი. როგორც მოაზროვნე, ლოგოსის მატარებელი არსება, ადამიანი განასხვავებს უკეთესს უარესისგან, კეთილს - ბოროტისგან, უფრო მაღალი ღირებულების მქონეს - დაბალისგან. აზროვნებით დგინდება ღირებულებები და ამის შემდეგ თავისუფალი არჩევანი, და აქ მთავარი თავისუფლების სწორ გამოყენებაშია. ადამიანი, როგორც გონიერი არსება აირჩევს კეთილს და არა ბოროტს.

პლატონისთვის სიკეთე, როგორც ნამდვილმყოფი, როგორც ჭეშმარიტება აბედნიერებს ადამიანს და ამიტომ ადამიანი, ბუნებრივად, აირჩევს კეთილს. არისტოტელე

ამ საკითხში პლატონს მისდევს, მაგრამ ეკამათება იმაში, რომ პლატონმა ვერ გაითვალისწინა ადამიანის ნების სისუსტე. ადამიანმა შეიძლება იცოდეს კარგი, უნდოდეს გააკეთოს კარგი, მაგრამ ვერ აკეთებდეს ნების სისუსტის გამო. ამიტომ თავისუფალი არჩევანი დაკავშირებულია ნების სისუსტის დაძლევასთან. მაგრამ ამ გზაზე ნებიყოფის სისუსტის ერთხელ დაძლევა არ არის საკმარისი. ადამიანმა თავისი ძალისხმევით უნდა გამოიმუშავოს, კარგ ჩვევაში გადაზარდოს, თავისი ბუნების ნაწილად უნდა აქციოს ვნებათაგან თავშეკავების, გადაწყვეტილების მიღებისა და მიზნის დასახვის უნარი.

თავისუფლება, როგორც არჩევანის აუცილებელი პირობა, იმასაც ნიშნავს, რომ შემიძლია სხვაგვარადაც მოვიქცე, ანუ რამდენადაც თავისუფალი ვარ. თავისუფლებაში იგულისხმება, ერთი მხრივ, რომ ჩემი ქცევა გარედან არ არის თავს მოხვეული და, მეორე მხრივ ის, რომ ეს ქცევა ჩემი გადაწყვეტილების შედეგია, მისი ავტორი მე ვარ და პასუხსაც თვითონ ვაგებ.

არისტოტელესთვის, პასუხისმგელობა ქცევაზე თავისუფლების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. ჩვენ პასუხს ვაგებთ, როგორც ღმერთის, ისე საკუთარი თავის და პოლისის წინაშე. ადამიანის ქველ, თავისუფალ არსებად ჩამოყალიბებაში გამდამწყვეტ სიტყვას ამბობს პოლისი. პოლისში უნდა მოქმედებდეს ზნეობრივი კანონები, რომლებიც ადამიანს უფრო უკეთეს, უფრო კეთილშობილ არსებად აყალიბებენ, უვითარებენ კეთილ ჩვევებს. როცა მთელი ქალაქი კანონთა მორჩილია, შენც ბაძავ კარგ მოქალაქეებს და თანდათანობით ყალიბდები კარგ ადამიანად. როცა ღმერთებთან, სხვა ადამიანებთან და პოლისთან ურთიერთობაში არსებულ ჩვეულებებს და კანონებს იცავ ქებული, პატივცემული ხარ და კარგ კაცად ითვლები; ხოლო თუ არღვევ, ზიზღს და სასჯელს იმსახურებ და ცუდ კაცად ხარ მიჩნეული. ამ პირობებში კანონის მორჩილება სასარგებლოა ადამიანისთვის, დარღვევა კი მასვე ვნებს. ჩვეულებათა და კანონთა დამცველი - ბედნიერია.

და ბოლოს შევეხოთ ძველთაგან მომდინარე კითხვას, სიქველე ბუნებრივი რამაა, თუ ბუნებას უპირისპირდება. არისტოტელე ამ კითხვის პასუხს შესაძლებლობის ცნებაში ნახულობს. სიქველე ჩვენში არც ბუნებრივი წარმოშობისაა და არც ბუნების საწინააღმდეგო; ჩვენ ბუნება მისი შეთვისების უნარს გვანიჭებს, ჩვენ ჩვევის მეშვეობით სრულქმნილებას ვაღწევთ. ყოველი ადამიანი პოტენციურად ქველია, ყველაშია ჩადებული სიქველის პოტენციალი, რაც სწორი ჩვევების მეშვეობით შეიძლება განამდვილდეს. მაგრამ ყველაფერი, რაც პოტენციურადაა, შეიძლება საპირისპირო მიმართულებით განვითარდეს. პოტენციურად ქველი რომ ხარ, პოტენციურად ცუდიც ხარ. მაგრამ ადამიანს გონიერი, თავისუფალი არჩევანის უნარი გააჩნია და მისი გადასაწყვეტია, რა გზას აირჩევს.

დასკვნა. ბერძნული მითოლოგია ბედისწერის იდეითაა განმსჭვალული. ბედისწერა არის საერთოდ არსებულის მკაცრი წინასწარ განსაზღვრულობა - დეტერმინაცია, ის ადამიანთან მიმართებაში ვლინდება, როგორც წილ-ხვედრი. იმას, რაც ბედისწერისგან არის განჩინებული, თავს ვერ დააღწევს ვერც ერთი ადამიანი და თვით ღმერთებიც კი. ადამიანი ბედისწერის ხელში ბრმა იარაღია, მისი განჩინების მორჩილი აღმსრულებელი. მისი მოქმედება არ შეიძლება შეფასდეს ზნეობრივი კრიტერიუმებით. მითოლოგიამ არ იცის ასეთი დაყოფა - ,,კეთილი", ,,ბოროტი", ,,ზნეობრივი", ,,უზნეო". ბედისწერა არც კეთილია და არც ბოროტი, იგი უბრალოდ არის ის, რაც არის.

ბედისწერის მითოლოგიური გაგებიდან ფილოსოფიურ გააზრებაზე გადასვლის კვალდაკვალ თანდათანობით სუსტდება ბედიწერის გარდაუვალობისა და ულმობელობის შეგნება. ფილოსოფიას შემოაქვს ბედისწერისადმი ადამიანის დამოკიდებულების სულ სხვა მოდელი.

ჰერაკლიტემ, სოკრატემ, პლატონმა და არისტოტელემ რაციონალურად გაიაზრეს ბედისწერის ფენომენი და განახორციელეს მისი დემისტიფიკაცია. ბედისწერამ, როგორც

ტრანცენდენტურმა, შეუცნობელმა ძალამ ადამიანში გადმოინაცვლა და მოგვევლინა ადამიანის ბედის ,,შიგნიდან" განმსაზღვრელ იმანენტურ ძალად.

ბერძენმა ფილოსოფოსებმა უდიდესი ძალისხმევა შეალიეს იმის დასაბუთებას, რომ ადამიანს შეუძლია სიბრძნის, ,,ლოგოსის" მეშვეობით შეცვალოს თავისი ხასიათი და გახდეს თავისი ბედის შემოქმედი.

გამოყენებული ლიტერატურა

არიტოტელე. (1988). ნიკომაქეს ეთიკა. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის სერია.* N-4.

ესქილე. (1978). *ტრაგედიები.* თბილისი: გამომცემლობა „მერანი".

კვარაცხელია, ნ. (2001). *ადამიანი და მსოფლმხედველობა.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".

პლატონი. (1997). *ადრეული დიალოგები.* თბილისი: გამომცემლობა „მერანი".

პლატონი. (1994). *ტიმეოსი.* თბილისი: გამომცემლობა „ირმისა"

პლატონი. (1966). *ფედონი.* თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული".

ჰეგელი, გ. (1962). *ლოგიკის მეცნიერება.* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

ჰომეროსი. (2012). *ოდისეა.* თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა".

REFERENCES

arit'ot'ele. (1988). nik'omakes etik'a [Nicomachean Ethics]. *sakartvelos metsnierebata ak'ademiis matsne. pilosopiis da psikologiis seria [Georgian National Academy of Sciences Herald. Series of Psychology and Philosophy].* N-4.

eskile. (1978). *t'ragediebi [Tragedies].* Tbilisi: Publishing House „Merani".

k'varatskhelia, n. (2001). *adamiani da msoplmkhedveloba [Human and Worldview].* Tbilisi: Publishing House „Metsniereba".

p'lat'oni. (1997). *adreuli dialogebi [Early Dialogues].* Tbilisi: Publishing House „Merani".

p'lat'oni. (1994). *t'imeosi [Timaeus].* Tbilisi: Publishing House „Irmisa"

p'lat'oni. (1966). *pedoni [Phaedo].* Tbilisi: Publishing House „Nakaduli".

hegeli, g. (1962). *logik'is metsniereba [Science of Logic].* Tbilisi: Publishing House „Sabchota Sakartvelo".

homerosi. (2012). *odisea [Odyssey].* Tbilisi: Publishing House „Palitra".